ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №1-065

აბაშა, 2020 წლის 19 ოქტომბერი

ნათელა ჩოჩიას დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 43-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილების შესაბამისად და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის 2020 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების (სხდომის ოქმი №3-09.10.2020) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს ნათელა ჩოჩია (კონკურსის შედეგად) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და განთავისუფლდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში თანამდებობიდან.
2. ნათელა ჩოჩიას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი ნორმატიული აქტით (დადგენილებით).
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 19 აგვისტოს №1-046 ბრძანება ,,ნათელა ჩოჩიას გადაყვანის შესახებ“.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი